საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2):

განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები.

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

- ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
- ბაღი;
- სკვერი;
- საოჯახო საბაღე და საბოსტნე მეურნეობა (არასამეწარმეო);
- საბავშვო მოედანი;
- საოჯახო ორანჟერეა და სათბური (არასამეწარმეო);
- ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
- ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო საცხოვრებელ სახლებში, სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- საბავშვო ბაღი და სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულება;
- დაწყებითი სკოლა;
- საშუალო სკოლა;
- ღია საცურაო აუზი;
- სპორტული მოედანი;
- ამბულატორია;
- აფთიაქი;
- კლუბი (მრავალფუნქციური დარბაზით შეხვედრებისათვის, გამოფენებისათვის);
- პირველადი მოხმარების საქონლის მაღაზია;
- საფოსტო და კავშირგაბმულობის განყოფილებები;
- ღია ავტოსადგომი, ცალკე მდგომი ჩაშენებული გარაჟი.
- სასტუმრო *(25.11.2011 N 12-55)*

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას:

- პარკი;
- ბულვარი;
- განაშენიანების დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
- პოლიკლინიკა;
- ბარი;
- კაფე;
- საყოფაცხოვრებო მოსახურეობის ობიექტი;
- საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ჯიხურები, დროებითი პავილიონი;
- ბანკის ფილიალი, განყოფილება;
- პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;

- კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი;
- ოფისი და კანტორა;
- საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომი;
- საკულტო შენობები და ნაგებობები.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი შიხიაშვილს

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის
არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ
ბატონ გიორგი გოგოლაშვილს

ქ. თბილისში, სოფელი ლისი,
ლისის ტბის მიმდებარე
ტერიტორიის მაცხოვრებელთა

555999999

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობთ ზემოაღნიშნულ მისამართზე. ტერიტორია განეკუთვნება სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია მხოლოდ საცხოვრებელი სახლები და არ მდებარეობს არცერთი კომერციული ობიექტი. ჩვენი საცხოვრებელი სახლების მომიჯნავედ მდებარეობს ასევე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.16.007.075), რომლის მესაკუთრეა შპს „ასორტი ვერე", რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე განზრახული აქვს კომერციული ობიექტის, საცხობის მშენებლობა, ტერიტორია უკვე შემოღობილია სამშენებლოდ.

ჩვენ, ზემოაღნიშნული ობიექტის მომიჯნავე ტერიტორიის მაცხოვრებლებს (მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების, თანახმად საკადასტრო კოდებისა # 01.14.16.007.103, # 01.14.16.007.051., # 01.14.16.007.186, # 01.14.02.002.024, # 01.14.02.002.006, # 01.14.16.007.157, # 01.14.16.007.068, # 01.14.16.007.125, 01.14.16.007.074, # 01.14.16.007.227, # 01.14.16.007.169, 01.14.16.007.230, #01.14.16.007.231, # 01.14.16.007.232, # 01.14.16.007.233, # 01.14.16.007.234, 01.14.16.007.235, # 01.14.16.007.236 და მფლობელებს) მიგვაჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობის განხორციელება დაუშვებლად, ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, თავისი ფუნქციით განეკუთვნება გამწვანებულ, რეკრეაციულ ტერიტორიას, სადაც კომერციული დანიშნულების ობიექტის, განსაკუთრებით საცხობის ან რაიმე მსგავსი ტიპის საწარმოს მოწყობა გამოიწვევს მძიმე შედეგებს მობინადრეთათვის, სანიტარული ნორმების მკაცრად დაცვის შემთხვევაშიც კი ჩნდება ვირთხების და სხვა მსგავსი საშიში ინფექციების მატარებალი მღრღნელების გაჩენის საშიშროება, რაც შეუძლებელს გახდის აღნიშნულ მისამართზე ცხოვრებას. გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ დასახლებულია მრავალი ოჯახი რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე. მოგეხსენებად, რომ არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ამდაგვარ პრეცედენტს ადგილი არ აქვს, რადგან არსებობს ქალაქების და განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებული პუნქტების ურბანიზაციის გეგმა. იმედი გვაქვს, რომ თბილისის ურბანიზაციის გეგმაც არ მისცემს საშუალებას აღნიშნულ კომპანიას განახორციელოს უკანონო

№ 9835
08 ნოემბერი 2013 წ
6